

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 15

აპრილი 2 1895 წ.

№ 15

შინაარსი: ქრისტე აღდგა, ლექსი იასი — სვან-და-სვანა აშუბი.—საყურადღებო აშუბი.—ფაქრი და შენიშვნა დ. გ. მეზას, ლექსი დეტე მეგრელია.—ჭიათურის შვიი ქვის მწარმოებელია საყურადღებო ა. კიკვაძისა.—კაცინის მონასტერი.—ცხოვრების სწრაფობის სილოვანისა.—სოფლიდან შენიშვნა დ. დ. ძიხვა.—გუგუზარჯოს კაკაბეს სკოლის საქველმოქმედო კომიტეტის ფინია შვ. ლისა.—პარცუ საზღვარგარეთულისა.—სვიმონ ხელი პარსოვისა.—სახემარი გასართობი.

გამოვიდა ახალი სახალხო წიგნაკი „**ქრი მოთხრობა ევ. ნინოშვილისა ავსტრიის სურათით და მისი გიმოგრაფია**“ შედგენილი გ. წერეთლის მიერ. შემოსავალი გადაიდება ევ. ნინოშვილის ძმისწულის გასაზღვრელათ. ფასი ორი შაურია.

ქრისტე აღდგა!

ფოთია განთიადმა.
გოლოგოთაზე ამართული
ჯვარი მოჩანს ტანჯულსა
საშიში და სისხლ-შესხმული.

დედა ლეთისა მისწრაფის
ტრემლის ფრქვევით დადაგული,
სურს ციგის სულარს დეკონოს,
მეკრღს ჩაითბოს ძე მოკლული.—

ხედავს საფლავს ცარიელსა.
მზე ამოდის ცაზე, ხარობს,
ქრისტე აღდგა, გიხაროდენ!“
—ანგელოზთა გუნდი გალობს.



სხვა-და-სხვა ამბები

ქველამ ვიცით, რომ უმაღლესმა მთავრობამ ყურადღება მიაკცია დიდი სარგებლით ხალხის ცარცვას და გამოაცხადა საქვეყნოთ, რომ მოვალეს თუმანზე თარმეტი კაპეიკის მეტო, სარგებლის აღება არ შეეძლოს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ვერ მოახერხებს ჩარჩების ალაგვას, თუ ყურადღება არ მიექცა ექსპოლენს, რომლებმაც თავის ერთი ორათ და ერთი სამათაც აწერინებენ. არამც თუ უბრალო ექსპოლენია ასე შედგენილი, არამედ ნოტარიუსის დამტკიცებულ ექსპოლენშიაც ამ წესით არის ჩაწერილი და თუ მსესხებელმა იმდენი სარგებლით არ დადამყოფილა მოვალე, რამდენიც მას მსურს, უნიკონებს და თავის ერთი ორათ გადაახდევინებს. ამგვარათ ცარცვენ მწარმოებელ ხალხს სინიღისზე ხელაღებული ეპურები.

ზემოხსენებული წესით რომ იწერება შუაქართლში ექსპოლენი, ამაზე მკაფიანი დამეორწმებიან. ამ ნაირი ექსპოლენის დამწერებმა, მოწმებმა და ამდებლებმა იციან, რომ ექსპოლენი ნასესხი თავნი ერთი ორათ წერია. ჩემს სზრით აქ არც დამწერია დამწავები, არც მოწმები და არც ამდები, რადგანაც ამდები ეხვეწება, მწერალს და მოწმებს, რომ მეფის ნებაზე დაწერიონ ექსპოლენი, რადგან სხვა ღონე არა აქვს, რომ სხვაფერ აიცილოს თავიდან ქაზზე მამდგარი გაჭირება.

დიდი მოწყალეობა იქნებოდა ასეთი მსესხებლებისთვის, რომ სამართალი მიაკცევენს ყურადღებას მოეხზუნს მიერ სამართალში წარდგენილს ასეთს ექსპოლენს, დაიბარებდეს ექსპოლენს დამწერს და მოწმებს, რომელთაც ხელი უწერიათ ექსპოლენზე. გამოიკითხვდეს გარემოებას ამ ნაირათ ექსპოლენს შედგენისას და სამართალში მიცემდეს გადატყებული ჩაღბის დამტყებელს სოფლის ჩარჩს და ეპურს.

* *

გამოვიდა და იყიდა ყველა წიგნების მალაზიაში მცირეთ შეესებული სურათითურთ კ. ნინო ორბელიანის ლექსები. ე. თავართილიძის მიერ გამოცემული. ამ ლექსების ყიდვის მსურველთ შეუძლიათ მიმართონ გამოცემელს ოზურგეთში და ახალ-სენაკში ე. თავართილიძის წიგნის მალაზიაში.

* *

გამოვიდა წიგნაკი „რუხის ბრძოლა“, ან „ცხოვრება დიდის მეფის სოლომონისა“, თქმული გეგმკორისგან 1836 წელს, გამოცემული ზ. ჭკინაძის თომცა წიგნაკი სუფთათ არის გამოცემული, მაგრამ შეგადა-სიგ ლექსებში შეცდომა ბევრია. ეს წიგნ-

აკი დასტამბულია ვ. ჯავახიძის და ს. ბერელოვილის დახმარებით. სამი ათას-ოთხასი ცალია დასტამბული, რომელთაგან მხოლოდ ოთხასი ცალი უნდა გაყიდოს, დანარჩენი შექვთათ დარიგდება ხალხში. უფასო ორი შაურია.

* *

ალღამოს მესამე დღეს, მიემგზავრება განჯას და ბაქის ქართული ხორა ბ ნ რატლისა. იმიდა, იქაური ქართველთა საზოგადოება თანაგრძნობით მიეცებება მას, მით უმეტეს, რომ სხენებულ ქალაქებში ბ-ნი რატლი პირველათ მხართავს ქართულ კონცერტებს.

* *

მარტის 21 ქუთაისს მოუტყენებიათ გეგმი ქათოლიკის კანონნიკის დან-დიმიტრი თუმანიშვილისა. დიდ ძალი ხალხი დაწერება მართლ-მადიდებელი და ქათოლიკე, რომ უკანასკნელი პატრიეცათ განსვენებულისათვის, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ბევრი ქველმოქმედებით აღბეჭდა, განსაუთრებით ქუთაისის ქართველთა ქათოლიკის საზოგადოებაში. სიტყვები წარმოატყეს გ. გამრკველიშვილმა (უფროსმა ნოტარიუსმა), თ. პ. თუმანიშვილმა და მიღველმა გეგამამე—დაწერილობითი ამბავი იქნება დასტამბული „ქელის“ მომავალ ნომერში.

* *

გამოვიდა „ისტორია მართლ-მადიდებელის ეკლესიისა ეკლესიის განყოფილქ კ. პ. პობედონოსცევისა, თარგმნილი მღ. ჯავაშვილის მიერ, ჩვენი გადათავალთგეფით ეს მსოფლიო ეკლესიის ისტორია და აქ ერთი სიტყვითაც არ არის მოხსენებული ქართული ეკლესიის ამბავი, მაშინ როდესაც ქართულს საერო მართლმადიდებელს ეკლესიას მსოფლიო საეკლესიო ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ქართული სამოციქულო ეკლესია თანასწორი უფლებით არის აღჭურვილი, რომისა და საბერძნეთის ეკლესია პეტრე და პავლე მოციქულებისაან დაარსებულია ისე, როგორც ქართული ეკლესია ანდრია მოციქულისაან. რაიცა შეგხება თვით ბრძოლას ქართული ეკლესიისა წარმართობის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში მას ისეთი დავალი მიუძღვის ქრისტიანობის წინაშე, ისეთი გროვეული თვითარებობის კვალი ატყეა, რომ ამ შემთხვევაში ვერც საბერძნეთისა და ვერც რომის ეკლესიები ვერ აღმატებოან მას. ამის გამო დიდ ნაკლულეფანებათ უნდა ჩაითვალოს ყოველი მართლ-მადიდებელი ეკლესიის ისტორიისათვის, რაცა მასში დაიწყებულია ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. კარგა ინებება მღვ. ი. ჯავაშვილი ამ თავის თარგმანთან ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოკლე ისტორიას რომ გამოვიდა, იმიდა, მეორე გამოცემაში აუტორი ამ ნაკლს შეავსებს; ახლა კი ეს მის მიერ თარგმნილი საეკლესიო ისტორია ჩვენი საღვედლოებისათვის მაღვენათ არ არის გამოსადევი.

საყურადღებო ამბები

„კელის“ რეაქციას.



ვერიის“ № 66 „თფილის ერთის სასწავლებლის პედაგოგმა“ დასტავა წერილი, რომელიც გამოწვეულია თქვენს პატერნულ განხილვას „კელში“ დასტავებული ქეთარსიდან მოწერილი ამბით. თუ რამდენათ კითხი სურვილია და წადილი გამოხატული იმ ამბავში, ეგ ცხადია ყველასთვის, რომ არაფერა „შურისძიება“ არა მანს იმ ამბავში ი, ს. გოგებაშვილისადმი — ესეც ცხადია ყველასთვის, გარდა იმა „თფილისის ერთი პედაგოგისა“. მაგრამ ამის განსჯა და დაფასება მოთხვეულისათვის მიეკიდება. მე ამ თფილისის ერთი მასწავლებლის პედაგოგის მეორე ნაწილს უნდა მივაქცია ყურადღება. ის ამ ნაწილში ამბობს: „კელავაც ბეერჯელ გემენია სხვა-და-სხვა ვაჟბატონების სურვილი, რომ ღელა-ენის სამაგიეროთ სხვა რომელიმე ანბანი შეადგინონ, მაგრამ ეს სურვილი დღემდე სურვილათ რჩება და დარჩება კიდევც ცინიიდგან რაც შესაძლებელი იყო პედაგ. რომელსაც, რასაკვირველია თავისი წესები აქვს, დიდი ხანია შედგენილია და სხვა რომელიმე ანბანის შედგენა იქნება მარტო წყლის ნაყვია და სხვა არაფერი“. ამ უზარმაზარ წინადადებაში ორი რამ არის საგულისხმო: 1) ის რომ საქართველოში არც ერთ ვაჟბატონს არ შეუძლია პედაგოგის და გამოაცხადოს სურვილი, რომ „ღელა-ენს“ სამაგიეროთ სხვა რომელიმე ანბანი უნდა შევადგინო“. რატომ, ბნო „თფილისის ერთი სასწავლებლის პედაგოგო?“ რატომ არ უნდა ეცაინიოთ სურვილია, მაშინ, როდესაც ჩვენდა საბედნიეროთ ისეა ვაგერცემულია სწავლის წყურვილი ჩვენს საქართველოში და ამასთანავე ისე კორტა — ნამდვილ პედაგოგიურათ შედგენილი ანბანი, რომ ანბატელ-გიგიშვილების ანბანს და ლექსებს გასპავალი აქეთ და შკითხველები მოეპოვება. თურუნდა სხვაშრივაც ავიღოთ. რითი არის ეს სურვილი ცუდი და შეუსაბამო ჩვენი ქვეყნისთვის? განა რა დააკლებდა ჩვენს შკოლებს და ჩვენს ხალხს, მოამეტებული რიცხვი რომ გვექონდეს პედაგოგიურათ შედგენილი ანბანები? მოიგონოს მანც დალოცვილობა „თფილისის ერთი სასწ. პედაგოგმა“, შორს რომ არ წავიდეთ, გამოჩენილი რუსეთის პედაგოგი უშინსკი და მისი სახელმძღვანელო „Рѣшѣе еашо“. ამ გამოჩენილობა პედაგოგმა შეადგინა რა თავისი, მარტო

ლა რომ შესანიშნავი, სახელმძღვანელო, ამას გაიძახოდა: „მთელს დიდაქტიკაში პირველ დაწვებითი სახელმძღვანელოს შედგენისათა ძნელი არა არის რა“ და იწვევდა პედაგოგებს და მშობლებს თავისი გამოცდილებით დახმარებოდნენ ამ გენიოსს პედაგოგს, და რა მოხდა? ის რომ ამ შესანიშნავი პედაგოგის წაბაძით და მავალით შედგა მრავალი სხვა საკითხავი წიგნები, მაგრამ შემდგენელებისათვის ის კი არაივის უთქვამს, რომ ესა და ეს სახელმძღვანელო უშინსკისადმი შურისძიებით არის გამოწვეულიო? ამის თქმა მარტო ჩვენში შეიძლება; რადანაც „კუკის მრწამსი“ გასულიდგმულებს აქამდის და არა საზოგადოებისადმი სამსახური და ქვეყნისათვის თვალადება, როგორც გაიძახა ზოგიერთი ვაჟბატონები, შეადგენს ეინმე სახელმძღვანელოს „ღელა-ენის“ მაგიერათ, გეგუნებინ შურისძიება გოგებაშვილისადმიო. რატომ, ბატონებო? იმიტომო, რომ იმის შემოსავალს აკლდებაო? და მეგრე? — და მეგრე ისაო, რომ „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება“ არის ამ სახელმძღვანელოს გამომცემელიო, და ეს არის ჩვენი მოძღვრებანი, ჩვენი ცხოვრების წინ წასვლა, იდეალები და სს. და სს. აბა, მოდი და ნუ ტყვი, რომ მოქალაქებრივი გრძნობა ვასულდგმულებს ყველაფერში. აბა, ნუ იტყვი, რომ ჩვენს საზოგადო. დაწესებულებას, ახელმძღვანელებს საზოგადო. სურვილი და მომდგრებანი, სხვაგან კერძო კაცები და საზოგადო. დაწესებულებანი ჯილდოს უწიშენენ, ვინც კარეს სახელმძღვანელოს შეადგენს და ჩვენში კი გაიძახა: „საქართველო მოლაღატეა, ვინც ვაგეჯას, და არაიცი თუ ღელა-ენის“ მაგიერ სახელმძღვანელოს შეადგენს, არამედ ვინც სურვილს იქონიებსო“. ვსკე არ უნდა, ბატონებო, თვარა თქვენ ცუთ.

2) ეინიდაგან რაც შესაძლებელი იყო პედაგოგიურათ, რომელსაც, რასაკვირველია, თავისი წესები აქვს, დიდი ხანია შედგენილიაო, ე. ი. „ღელა-ენა“ ისეთი უსრულესი სახელმძღვანელოა, რომ უკეთესის შედგენა აღარ შეიძლებაო: ეს რომა უშინსკის ცოდნაო, რა მწარე ღიმილი მოუვიდოდა სახეზე, როცა ვაიხსენებდა თავის სიტყვებს — რომ „მთელს დიდაქტიკაში ყველაზე ძნელი პირველი წიგნის შედგენაო“. — აბა რა საკარისია, ბნო პედაგოგო, იმისი თქმა? განა არ მოგვხსენება, რომ „მკობის მკობი“ არ დალევი? და რაც შეეხება იმ აზრს, რომ „ღელა-ენა“ ყოვლად სრული სახელმძღვანელოა, ამხე გამოკანდიერები და ეტყვი, რომ ბეერი რამ კარგია „ღელა-ენაში“, მაგრამ იმდენი რამ შეუსაბამოც 7 წლის ბავშვის ნორჩი გულის და გონებისათვის, იმდენათ შეუმუშაველებია ეს სახელმძღვანელო პედა-

გოგოური მხრითაც კი, რომ საჭიროა ძალიან, რომ მტოკე გამოუჩნდეს, რომ შედარებითი ბაასის ღონისძიება მოგვეცეს, მაგრამ ამის შესახებ, ბ-ნო რედაქტორო, მე სხვა დროს ვეჭვნება ბაასი და ახლა კი ვნება მიბოძეთ, რომ თქვენი გაზნეთის საშუალებით მოვაგონო მკითხველს — რომ ყოველი ქართველი კაცი განურჩევლათ წოდებისა და მდგომარეობისა, მიუხედავად ათეილისის ერთი სასწ. პედგოგის* ცდი-სწამებისა, ელდებულა იმუშაოს, როგორც შეუძლია თავის სამშობლოს დღევანდელობისათვის. დეგ, იძახონ ფარისეველთა: „შურის ძიება“, „ალატი“, „შუქღმართობა“ და სხ. ჯილდოთ ისიც გვეყოფა, რომ საზოგადოებისადმი სამსახური, ერთგულობა და კეთილი სურვილები გაასტეკებენ ჩვენს გულს და კეჩობობისადმი მოქმედება დაქვეითებს და დააზნებს კაცის გულს. აი, ეს იყო, ბ-ნო რედაქტორო, ჩემი სათქმელი და უტკივრავთ, თუ ასე გძელი წეჩილი მომივიდა.

თგ. ერთი სასწავლებლის მეორე პედგოგო

* *

ჭუთასი. აქ დიდი მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ მეექვსე კლასის მოწაფეს დაუწერია კომედია, რომელშიაც გამოუყვანია მოქმედ პირებთ ვინაზისავე მასწავლებლები. წარმოუდგენიათ კიდევაც სალდაც სახლში მოწაფეებს. შეუტყვეს და საქმის ვარგობება კაცკასის სამოსწავლო მზრუნველს აცნობეს. ერთი მასწავლებელთაგანი, როგორც გავიგე, დაუთხოვიათ, რადგან ლოთობისთვის ბევრჯელყოფილა შენიშნული. ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებ მოწაფეებს რა დღეს დააყენებენ, არ ვიცი.

* *

განჯა. თფილისში, ამიერ კავკასიის რკინის გზის საავთმყოფოში, ოც მარტს გადაიცილა ერთი ახალგაზდა, სულ ოც-და-ხუთი წლის ყმაწვილი ქართველი, ვარდენ ლუკას ძე ცქირტაშვილი. ვარდენ ცქირტაშვილი ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ განჯის სადგურზე დანიშნეს უფროს კონდუქტორათ. ის მაშინ განჯაში ეკუთვნოდა იმ ახალგაზდა ქართველების წრეს, რომლებიც ცდილობდნენ და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ იქაურ ქართველთა შორის აღძვრათ სიყვარული სამშობლოსადმი და სამშობლო ლიტერატურისადმი. თავის კეთილი ხასიათით და კეთილი მოქმედებით კიდევაც მოიპოვა განჯელ ამხანაგ-ნაცნობთა შორის ნდობა და პატივის ცემა. ამ სამი წლის წინათ სამსახურის გამო გადა-

ყვანილ იქმნა ბათუმში, საიდანაც ყურადღებით ადვენებდა თვალ-ყურს ქართველ მწერლობას. მას უცემდა გული სამშობლოს სიყვარულით და მზათ იყო ღაჩარულ მოძმესთვის ხელი გაწეწინა დასახმარებლათ. განსვენებული ანთებით აეთმყოფი ჩამოყვანათ ამ სამი დღის წინათ საავთმყოფოში.

განსვენებული ნაცნობებმა და მხანაგებმა მარტის 22 თავის სამშობლო გურიაში წაასვენეს.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი პატიოსანო და ამხანაგათვის სამაკალითო ვარდენ.

დ.

* *

დ. ყვირილა. ამ ოთხი კვირის წინ, ყვირილიდან 5 ევრსტის საზოგზე ერთ სოფელელ აზნაურიშვილს ერთი წლის ერთთერთი ვაჟი, ახალ ძუძუმ მონაწივეტი ავით გაუხდა, შეატყობინა მაშინვე ექიმს ქ-ძეს, რომელიც დ. ყვირილაში ცხიერებს დროებით და კერძოთ ექიმობს ავთმყოფებს. მობრძანდა ბ-ნი ქ-ძე, გაზინჯა ავთმყოფი ყმაწვილი და ბძანა, კაცო გამაბნათე ყვირილაში, წამლებს გამოუწერ. ჩემი დარჩებისამებრ ასეთ და თუ კარგათ მოუვლით მორჩებაო. ექიმის წაბძანების დროს, რომელიც ავთმყოფის მამს ცხენს იჯდა, ოთხი მანეთი მიართევს, მოიღუშა და თქვა, ცოტა არისო. ერთი მანეთიც დაუმატეს და ხუთი მანეთი მიართევს, თუმცა არც ამით დარჩა კმაყოფილი. წამლები გამოწერა ყვირილის აფთიაკიდან, სამ მანეთამდის საღირალი, რომელიც ბიჭმა იმ ხუთ მანეთს ვარგზე იქვე აფთიაკის მიართვა და ბიჭი წამლებითურთ საჩქართ გამობრუნდა, მაგრამ თქვენი მტერი ნუ არის, რაც, რომ ბიჭმა და წამლებმა საცოდავს ავთმყოფს ყმაწვილს ევლარ მოუსწრო. თუმცე ექიმმა რომ გაზინჯა ავთმყოფი ყმაწვილი, ის წამი იყო, სული ამოდიოდა. მიკვირს, როგორ ვერ შეატყო ბ-ნი ქ-ძემ სულმობრძანე ყმაწვილს და თუ შეატყო, ფეხის ქირაზე ეპრობა რალა საკადრისი იყო, ან წამლებს რალათ აყიღინებდა საბრალო მომაკვდავი ყმაწვილის მშობლებს. ამ გვარს ქვეყანვ მზრის მკურნალს ემდუროდენ აქაური მცხოვრებნი და ახლა ეს ბატონი კერძო ექიმიც იმის გზას დადგომია.

მაყურებელი

ფიქრი და შენიშვნა

(დავიწყებული მთავლება)

XI



ფოგორჯ ჩანს ჩენის სტუდენტების ამ ბოლო დროინდელი იგრემიასტური გოდება მათის ვაჭირვებულის მდგომარეობის შესახებ უნაყოფოთ არ დარჩება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მოსწავლეთ დამხმარებელ საზოგადოების დაარსებაზე ზრუნავს სხვათა შორის ბ-ნ ალ. ჯაბაღარი, გამგე თბილისის ქართველთა გამომცემი ამხანაგობისა. იმედს უნდა გვექონდეს, რომ ეს საქმე მალე განხორციელდება. ამნაირათ ჩენი საზოგადოება, თუმცა აქამდისაც არ ტოვებდა უუყრადღებოთ ღარიბ სტუდენტებს და ეხმარებოდა მათ კერძო პირთა მოთაფეობით, დღეიდან, რაკი, ოფიციალური მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება იქნება დაარსებული სრულიად მოიხილს თავის ვალს მოზარდ თაობის წინაშე. ყთილად და პატროსანი, მაგრამ, თუკი საზოგადოება ცდილობს, დაეხმაროს მოსწავლეს სწავლის დროს, სწავლა დამთავრებულსაც უნდა ახსოვდეს თავისი მოვალეობა სამშობლოსადმი! სამწუხაროთ დღემდის ნასწავლთა უმზარეულსობა სრულიადც არ ფიქრობს ამ მოვალეობაზე! ამიტომაც არის, რომ თავს იყრის ისინი ქალაქებში, ან ცხრა მთას გადაღმა მიდანი სახელმწიფო სამსახურში და იგიწყებენ, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლოთ სოფელში თავის გამწვდელ ხალხისთვის. მე პით იმას კი არ ვამბობ, როგორც ზოგიერთი ჩენი აუბოლიციტები, რომ უუქველათ ყველა ნასწავლი ახალგაზდა, შეუძლია, თუ არ შეუძლია სოფლათ საქმის მოწინა დღეს და ცხოვრება, სოფელში წაივდეს, მე ვამბობ მხოლოდ იმათზე, რომლებსთვისაც არის საქმე სოფელში და რომელთაც შეუძლიათ იქ თავის რჩენა. ამასთანვე არიან მავალითათ, ექიმები, იქნება, პირველ ხანებში ცოტა გაუჭირდეს ახალგაზდა ექიმს სოფელში, მაგრამ ვაძეობს თუ არა იგი თავს ხალხს თავის გულ-შემატკეობით, და საქმის ცოდნით, უუქველია, ხალხიც მალე დათვასებს მას, და მიატოვებს მატყურა მკითხვე-ექიმბაშებს.

იი დროს, როდესაც სახლში სამშობლოს მოგაველი იმედს და დღევანდელი მუშა-მარჩენელი მრადება უუქვიოთ ვიღაც მატყურა მარჩივლების ანაზრათ არის დადებული, ჩენია ახალგაზდა ექიმები დაღესტრის სოფლებში ვადკარგულთან! ნუ თუ მათ ამ რიკათ სურთ გადავადნო ელიი თავის გამზარდელ სამშობლოს?! ნუ თუ ამაზე უფრო სასარგებლოთ ვეღარ გამოიყენეს თავისი სწავლა-მეც-

ნიერება?! — სამართლიანი გულისწყრომით კითხულობს ბ-ნი ლალი („ივერია“ № 44) და მერე განაგრძობს: ჩენი ქვეყანა განსაკუთრებულს მდგომარეობაშია დღეს და ამიტომ აქ არის საჭირო შეერთებული ძალა, შეერთებული მოღვაწეობა ერის გულშემბატკიერთა... საქართველოში ახლა მრავალი მოზარდლი სოფელია. ამ გვარის სოფლებში ნასწავლი ექიმები, რასაკვირველია, სულ ადვილათ მოიღვმენ ფხს. შემდეგ ამათ შეუძლიათ საზოგადოება დაარსონ. ამ საზოგადოებამ უუქველია, საკუთარი თანხაც უნდა გაიჩინოს და სწავერო ფულს გარდა, იმედს, ქართველი საზოგადოებაც დაეხმარება. ექიმთა ამ გვარ საზოგადოებათ შეეძლებათ ხელი მოეშალონ პირველ ხანებში პატარ პატარა სოფლებში თავის მოღვაწე ამხანაგებს. მე სრულიად ეეთანხმები ბ-ნ ლალს ამ საქმეში და კიდევ ვიტყვი რომ შეძლებით ყველაფერი შეიძლება, ოღონდ გული გულობდეს, ოღონდ გვახსოვდეს, რომ ჩენი თავი მატყურა ჩენს კი არ გვეუფთნის, არამედ იმ ქვეყანასაც, რომელშიაც დაიბადეთ და გავიზარდეთ და რომლისადმი სამასხური გვიანდერბა ჩენმა მამული-სთვის თავდადებულმა მიამაპაში... როცა ქალაქებში პრაქტიკის იმედი აღარა აქვს და ევლარც სახელმწიფო სამსახურში შოულობს ადგილს, ნასწავლი ექიმი დროებით ბინავდება სოფელში, მაგრამ იშოვნის თუ არა სამედიცინის, მაშინვე ტოვებს იმ ხალხს, რომელშიც კიდევ შეიყვანა იგი და მირბის ცხრა მთას გადაღმა, თუმცა სოფელშიაც საქმეა პრაქტიკა ქონდა და თამამთ შეეძლო ეცხროვა (იხ. ამის შესახებ წერილი ქუთაისიდან კ. ა-ძისა „სკვალი“ № 9)... ჩემის აზრით მომავალმა მოსწავლეთა დამხმარებელმა საზოგადოებამ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ საქმეს და დაავალოს იმ ექიმებს, რომელთაც სწავლის დროს შემწეობას აღმოუჩინეს, ემსახურონ თავის ქვეყანას და ხალხს. პირველ ხანებში თუ საჭირო იქნება, იგივე საზოგადოება უნდა დაეხმაროს ახალგაზდა ექიმის სოფლათ დაბინაეების დროს და შემდეგაც არ უნდა გაწყვიტოს კუშირი მასთან. ამ ნაირთ შეიძლება ამ საზოგადოებამ წეწროდს მოსწავლეთა და ახალ კურს-მსწარულეთათა დამხმარებელი საზოგადოება დაწესებამაც იქმნეს მოხსენებული, თუ რა მოვალეობა ექმნებათ იმათ, ვინც საზოგადოების შემწეობით ისარგებლებენ. ყოველს შეიძლება, დროა, მოვაგონოთ ჩენი ნასწავლი ყმაწვილები და ნამეტრ ექიმებს დავიწყებული მოვალეობა თავიანთ სამშობლო ქვეყრისა და აღმზარდელ ხალხისადმი, რომელიც დღეს თავის გამტყაველებ მტერთა უყურებს ნასწავლ კაცს და არა გულშემბატკიერა მოყვართ! დროა ვიზრუნოთ იმის შესახებ, რომ ხალხი და ინტელიგენცია დაუახლოვდენ ერთმანეთს და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მისწრაფდენ ერთის მიზნისკენ უკანასკნელის მეთაურობით და გეომძღვანელობით!..

მ უ ზ ა ს



შარა, მუხაგე. კმარა ცრემლი და შთქემა,
მწუხარების მხოლოდ ერთი გამოთქმა!
დროა, უიპყრათ ხელთ ნაღარა და ბუცი,
სამოქმედოთ აღძვრათ მოხუცებულეცი,

დ.ც.უ შვგრალო

ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საყურადღებოთ



იათურამ თავის შავი ქვით მსოფლიო სახე-
ლი მოიხვეჭა. ახლა ყოველგან იციან, რომ
ქიათურაში მილიონობით კეთდება შავი ქვა
(მინერალიზაცია), მილიონობით ტრიალებს კაბიტული-
უცხოელების წარმოდგენით ქიათურა კეთილგან-
წყობილი და საუსტხოა ქალაქი უნდა იყოს; აქ რა-
მდენიმე სხვადასხვა დაწესებულებანი, ამხანაგობა-
ნი, კაზნები, შკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები,
სტატრები და სხვა უნდა არსებობდნენ. აქ უნდა იჩე-
ნდეს თავის მუშათა შეთქმულება, ბრძოლა კაბიტუ-
ლას და შრომას შორის; — ერთი სიტყვით, აქ უნ-
და იყოს სიცოცხლე, მოძრაობა, მართლაც და; ქი-
ათურა რომ ეგროპაში იყოს, ყოველივე ეს თან
ქნებდა: აქ კი; ჩვენი ქიათურა რა არის? ერთი
საძრალო მივიწყებული, უწყეს-რიგო და უგზო-უყვ-
ლო... ქალაქი? არა დამა? არა... სოფელი! და
ისიც, ფუფუნე, ისეთი, რომ შიმშილით მოკვდება კაცი!!

ნუ გაიკვირდებით ყოველივე ეს. მოიკონეთ,
რომ იქიათურა საქართველოში და ქართველების
ხელშია. საქართველოში, სადაც ერთსულობას და
ერთგულობას დასაბამიდანვე არ ჰქონებია ადგილი,
ქართველების ხელში, რომლებსაც თავის-თავის სი-
კეთე და სარგებლობა თავიდანვე ვერ შეგვიფინა და
რომლებიც სწავლასა და მეცნიერებას მოკლებულ-
ნი ვართ!

ასეთი სიმდიდრე, როგორც არის შავი ქვა,
შეგნებული ერის ხელში ქვეყანას აუყვებდა. ჩვენ კი
ამ ბუნების მიერ ჩვენდამი მონიჭებულ სიმდიდრით
უცხოელებს ვამდიდრებთ!! ჩვენ რაღა გვჩივებ? ჩვენ
რა გვაკეთებ? ჩვენ რა წარმატება მოგვცა შავმა
ქვამ?

შავი ქვის მეშვეობით ვერ არც ერთი სასარ-
გებლო და საქველ-მოქმედო საქმე არ გაკეთებულა ჩვენ-
ში! ან კი ვინ გვაკეთებდა? შავი ქვა ხომ თავის
თავით უსულო საგანია და მის მწარმოებლებს კი,

თვითა მარტო ტირილი და წუწუნი
არას გვარგებს, არ ვაპყრება უკუნი!
კმარა, მუხაგე, კმარა მოთქმა ცრემლები,
საჭიროა, გვიანძროთ ხელები;
ვამცნოთ ყველას, რომ არა ვართ სულ მკვლარი,
რომ ტყუილათ გვახვევია სულარი!..

თავისი საკუთარი საქმეებიც რომ ვერ დაუწყევით
წეს-რიგზე, — საზოგადო საქმეს ენდა მიხედვება?! სა-
საცილო სანახავია, როცა ყველა მწარმოებლები
რიაში შემთხვევის გამო ერთხან შეიკრებიან სად-
მე ქიათურაში. მოგროვდებიან სად? თუ დარია, ხეს
ქვეშ — მინდორში. ხოლო, თუ ავდარია, — რკინის
გზის სადკურის ავიანზე!! აქ იჩივებენ სხდომის თავ-
მჯდომარეს, აქ აქვთ სჯაბაასი ამა თუ იმ საკომე-
რციო საკითხებზე და სხვა!!

ამას შემდეგ რაღა ვასაკვირვებია, რომ ქი-
ათურაში ერთი პაწია ბიბლიოთეკა დღემდისაც არ
არსებობს. ვინა არ იყო საჭირო? რა ბძანება! ქი-
ათურაში 300 — 400 წერა-კითხვის მცოდნე მოიპო-
ვება. ბიბლიოთეკა კი საჭიროა იქაც, სადაც ამის
ნახევარი და მესამედით არ არის. მეჩერ რამდენ ახალ-
გაზდას ვადაარჩენდა ასეთი ბიბლიოთეკა ჩხუბს,
უსიამოვნებას, ცუდაობას... მოგვსწენებთ, როცა კაცს
ქილა-გონების საფარჯიშო საშუალება არა მოეპოვება რა,
ძილა-უნებურათ სხვა რასმე მიჰყაუს ხელს, მაგალ.,
ქილაღდის თამაშს, მთერალობას და სხვას. ამ კა-
ნონს გმარჩილებიან არა თუ უბრალო წერა-
კითხვი მცოდნე, არამედ ხშირათ მაღალ სასწავ-
ლებელში გამოსულნიც კი.

როდემდის უნდა დარჩეს ქიათურა უბიბლიო-
თეკოთ? ნუ თუ დრო არ არის, რომ უფრადლება
მივაქციოთ ამ სასარგებლო საქმეს? სხვა რას იტ-
ყვის, — არ ეციო და ქიათურის განათლებულ ახალ-
გაზდას კი მოუცილებელ საქართველთ მიანია აქ
ბიბლიოთეკის გახსნა. ბიბლიოთეკაზე კიდევ მეტი
შინიშნებლობა საციერაო სახალხო კითხვის გამართ-
ვას აქვს. ამ უკანასკნელის მეშვეობით ერთი წლის
განმავლობაში ვაცნობს კაცი ხალხს ჩვენი მწერ-
ლების საუკეთესო ნაწერებს. ამას გარდა წაუკითხ-
ხავს რამდენსამე რეფერატს ამა თუ იმ ცხოვრებაში
საჭირო საგნების შესახებ და სხვა. ყოველივე ეს
მიიპყრობს მსმენელთა ყურადღებებს და აღუძრავს
მათ კითხვის სურვილს. აი, აქ ბიბლიოთეკა მიაწო-
ლებს მათ საჭირო წიგნებს.

დაბ, ყოველივე ეს საჭირო და სასარგებლოა,

მარა, საუბედროთ, სასიკეთო საქმის განხორციელებას მუდამ დაბრკოლებაც თან ახლავს. ამ შემთხვევაში დაბრკოლება სახლის უქონლობაა. ჭიათურაში რომ სახლის სიძვირეა, ასე, ვგონებ, არც პარიზში იყოს! ერთი პატარა და თანაც საძველი ოთახი თვეში 15—20 მანეთს ქირაედება აქ! ეს გარემოება რომ ხელს არ უშლიდეს, ჭიათურის ახალგაზრდობა აქამდის უკვე განაზოგულებდა ამ საქმეს. ეს ახალგაზრდობა კისრულობს ბიბლიოთეკის და სახალხო კითხვისათვის ნებართვის აღებას, იმათ მართვა-მოწყობას და წინ წამდობას, შეძლებისა და კვალობაზე თავის წვლილის გამოღებას და სხვას. მარა ეს კიდევ არ არის საკმაო გამოწყვეტული საქმისათვის. ეს ახალგაზრდობა რომ თვით შავი ქვის მწარმოებელი იყოს, მაშინ სხვას არცის მიმართავდა შემწეობისათვის, მარა, სამწუხაროთ, იგი მცირე ჯამაგირით ცხოვრებს, ხელმოკლეა, თუმცა ფრთა შეკეცილი განძახებანი და მისწრაფებანი ბევრი უტრიალებს გულში... ახლა კი იძულებულია იგი, დახმარება თხოვოს ჩვენს რედაქციებს, წიგნების გამოცემელთ და ავტორებს და კერძო პირებსაც. დაწმუნებული ვართ, რომ ყველა შეძლების და გვარ შემწეობას ამოგეიწინოს, მარა ყველაზე მეტა მოეთხოვება თვით შავი ქვის მწარმოებლებს. ამ საქმის გამოწვევა და დამთავრებაც პირდაპირი მათი მოვალეობა იყო და ჩვენ თუ ვიცისრეთ მისთვის, რომ ამდენ ხანს არც ერთს მათგანს არა თუ არაფერი უთქვამს ბიბლიოთეკის შესახებ, ვგონებ, არც კი ფიქრათ გაუფლია გულში!

ყოველ წარმოებაში და ეპქობაში მოსამსახურეების და მუშების შრომით და ერთგულებით გროვდება ფული, იზრდება კაპიტალი. სასურველია, თუ არც ეს მოედნა,—ამაზე აქ არ ვილაპარაკებთ. აქ ერთკეთი, რომ ეს მშრომელი ხალხი ღირსია, რომ მისი ცხოვრების გაუმჯობესობას ყურადღება მიექცეს. ყურადღება, რასაკვირველია, უნდა მიექცინათ მათ, ვისთვისაც ეს ხალხი მუშაობს, ვისაც სიმღღრეს უმატებს, ამ დასკენას უარ ყოფს მხოლოდ ერთი უმეცრება.

რაში უნდა გამოიხატოს შავი ქვის მწარმოებლების დახმარება ჭიათურაში ბიბლიოთეკის და სახალხო საკითხავის დასაარსებლათ? სახლი უნდა მიუჩინოს. ეს მოხერხდება ორ ნაირათ.

1) ზეით მოგახსენეთ, თუ სად იკრებიებიან მწარმოებლები სხლომების გასამართავათ. ახლა ისიც დაეფუტათ, რომ ჭიათურაში ხშირათ მოსულან და ეკლავაც მოელენ ყველა მწარმოებლებისათვის საერთო სტუმრები, როგორც იყო მაგალითით სამეურნეო მინისტრი ეროლოვი და სხვა. სირ-

ცხელიც არას. სხვა რომ არა იყოს რა, რომ ამდენ შეძლებულ მწარმოებლებს სხლომის გასამართავათ, სტუმრების მისაღებათ და სხვა ათანაირ თავის საქორებისათვის ერთი სამოთხ-ოთახიანი საზოგადო სახლი არ ჰქონდეთ! ასეთი სახლის აშენება სულ 2,500 მანეთს არ აკლდებდა. მერე დღი ფულია ეს იმათთვის? ასეთ სახლს რომ ააშენებენ, აქ შეიძლება ბიბლიოთეკის გამართვაც, სახალხო კითხვისაც და სხვა. ეს სახლი დაკმაყოფილებს მწარმოებლების მოთხოვნებსაც და საზოგადო საქმესაც ემსახურება.

2) თუ საკუთარი სახლის აგებას არ იკისრებენ მწარმოებლები და საქორითაც არ ჩათვლიან, მაშინ ბიბლიოთეკისათვის სახლი უნდა იქირაონ. ეს დაჯდება წელიწადში არა უმეტეს 200 მანეთისა. დამეთანხმებით, არც ეს არის დიდი ტვირთი.

იცით, ბევრს მწარმოებელს არ მოეწონება ჩვენი აზრი, მარა რა ფუყოთ! ჩვენ მიემართავთ „კავშირის ჭიათურის მანგანუმის მწარმოებელთა“ და „ამხანაგობას კავკასიის შავი ქვის მწარმოებელთა“. სასურველია, ამ ამხანაგობათა წარმომადგენელნი რომ გამოთქვამდენ თეიანთ აზრს. თუ ეს ამხანაგობები თანაგრძნობთ შეხედვიან ჭიათურაში ბიბლიოთეკის და სახალხო საკითხავის დაარსებას,—მათს მაგალითს სხვებაც მიჰყვებიან.


დასასრულ თუ კეთილ-ინებებენ შემწეობის აღმოჩენას, მსურველთ ვთხოვთ „კვლის“ რედაქციაში გაგზავნონ ყოველივე შეწირულებანი.

ო. კვავაძე


P. S. ვაზეთ „ივერის“ მე-60 ნომერში ბ-ნი ვალკო ბერიძე წერს, რომ „ჭიათურის განათლებული ახალგაზრდები ბ-ნი კიკვაძის მეთაურობით აპირებენ წიგნ-საკავი და სამკითხველო დაარსონ ო. უნდა მოგახსენოთ, რომ მეთაურობა არაიხი არაა. ყველა ერთათ ეცდილობთ ამ საქმის განხორციელებას. უმახლობელს მონაწილეობას ლეზულობენ ქ-ნის: პარასკევა არდიშვილის ასული, ანნა მდივანის ასული; ბ-ნის: გიორგი დეკანოზიშვილი (მთამანის ინჟენერი), ჭიათურის სასოფლო ბოქაული არდიშვილი, კარბე მოდებაძე, სამსონ ყაზიშვილი, ბესარიონ კაპანაძე, ირაკლი დეკანოზიშვილი, ჯიბრაილ იაშვილი და სხვები.

ო. კ.

СТАРОСЛАВЯНСКОЕ
ПИСЬМО



Видъ на село



ხ. რუსი

კაცხის მონასტერი

(გ. წარქოლის ანკუალოლიურ ეპიკურსიადს)



იტყუა კაცხი გ. წერეთლის ახრით წარმოემს სიტყვისაჲან ქუა—აქცია; ქუა, რომელიც ეცხება ხელს, უნდა ვიგულისხმოთ მელი *). კაცხის ტაძარი შესანიშნავი ძველია მეთერთმეტე საუკუნის და დღემდის ჩინებულთა შენახულა. სამწუხაროთ ამ ბოლოს დროს, მესამოცე წლების დასაწყისში, გარეთა პერანგი ტაძრისა, რომელიც ყოფილა შეწინიერი ჩუქურთმით და მრავალი ზედწარწერებით შემკული, მოუხსნიათ და ახალი თლილი ქვით შეუმოსავეთ. ძველი ჩუქურთმა მხოლოდ დარჩენილა ეკეტრების კედლებზე და დღეს მხოლოდთ ეს ნაშთი გვიმტკიცებს ამ ტაძრის შეწინებებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მთელ ტაძრის გეგმას, რომელიც დღემდე დარჩენილა აგრეთვე ხელ-შეუვებლათ.

ეს ტაძარი ბევრჯელ ყოფილა აწერილი ბროსისგან, დიმი. ბაქრაძისაგან და სხვებისაგან; მაგრამ მაინც დარჩენილა რამდენიმე შესანიშნავი ძველი ჩუქურთმისა და ზედწარწერა შეუნიშნავი, რომელთაც ძვირფასი მნიშვნელობა აქვთ მეთერთმეტე და მეცამეტე საუკუნოებზე სინათლის მისაყვებლათ! ამათ შორის ჩვენ გამოვიწერებ გ. წერეთლის ექსკურსიიდან ორს ახალს, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებულს ზეწარწერას.

სამხრეთის ეკეტრში გ. წერეთელს შეუნიშნავს ქუაზე დიდ-სახეთი გამოქანდაკებული ჯვართ-ამაღლები. განედლებულს, მწვანელოვანს, ჯვარს ოთხი ფრთა-

*) მეფე ჩუენისაშვილს განმარტებული აქვს ცნობათ, მაგრამ ეს ძირითადი არ არის. იმერეთში ცნობის უსახან აბაასტნის და ასკე უნდა იყოს. მეფის გი თორაქუა ჰქვია. მართლაც ცნობის მსხლოდით არის სოფ. თიარა, რომლის მიწა სულ შედისგან შედგება.
რედ.

გაშლილი ანგლოზი ეწიდება ზეტისკენ. ვარშემო შემდეგი ზეწარწერა:

„უფულო მოხსენე მონა ლეთისა დღესა მის დიდსა განკითხვისასა ერისთავთ ერისთავი იოანე ახალსა ცხოვრებასა“.

ეს იოანე არის ლაპარაკი დიდის შვილი (XI საუკუნე. შ.), რომელიც აგრეთვე ბერათ შემდგარა, როგორც მამა მისი სახელწოდებული ბერობაში ანტონათ.

მეორე ზეწარწერა კაცხის მაცხოვარზე ფრიად ძნელათ გასარჩევი და ამით აიხსნება, რომ ეს ზეწარწერა არც ბროსისგან და არც დიმი ბაქრაძის არა აქვთ მოხსენებულთ:

„სამებუა წმიდა, ერთ ღმერთო, თაყვანსაცემლო შენა მუარველ ყუვ ორთავე შინა ცხოვრებასა ერისთავთ ერისთავსა კახაბერსა“.

ეს კახებერი უნდა იყოს თამარ-დედაფლის დროის ერისთავთ ერისთავის კახაბერის შვილი. მამა მისს თამარ-მეფემ უბოძა რაჟა-არგვეთის ერისთავობა. ეს რაჟის კახაბერები ჩამომავლობენ ორბელიან-ბაღუაშვილისაგან.

მოხსენებულ ზეწარწერაზე აღნიშნული კახაბერი უნდა იყოს ის, რომელმაც ულალატა დავით ნარინს, რუსუდანიის შვილს, და მიეცურა მონაგლის ხანს აბაღას. ლეონს მონასტერშია ერთი ზეწარწერა, რომელშიაც ეს კახ ბერი იხსენება კახაბერ კახაბერისძეთ. ამისი შვილი რატი ყოფილა თვით ლეონის მონასტრის ამშენებელი.

ამ კახაბერზე ქართლის ცხოვრებაში წერია (ნაწილი I, 409 გვ.), რომ იმან მოახდინა შეთქმულება რუსუდანიის შვილის, დავითის, სამტრიათ და მიენდო მონაგლის ხანს აბაღას მხედართ მთავრის ალიხან ბაატურის შუამდგომლობით, რომელიც იმ დროს (1269 წ.) ჯარით იყო დაბანაკებული ჯავახეთში. აბაღა დაპირდა კახაბერს დიდს მოწყალებას; მაშინ კახაბერი კახაბერის ძე გავმართა მონაგლის ხანთან და თან იახლა ალაღარი. ეს კახაბერ კახაბერისძე ჩამომავლობდა — ამბობს მემეტრანე — იმ გვარიდან, რომელიც თავადანვე იყო გამცემობით და მეფეების ლალატით სახელ-განთქმულია.

ცხოვრების სურათები

I



ზარმანური დარბაზი
ლაპარასანთ ლებში ბუკურიალცხს.
ცალკე მუტრიბნი მღერიაან,
ცალკე მუსიკა გრიალცხს.

თავადი ლხინობს. კეკლუცნი,
ძვირფას თარხებში ხვეულნი,
და მათთან მათი არმიანი —
ესენი გახლავთ წვეულნი.

შამანური და ხაბური,
ბორღო სურსთ, თუბა ხერესი, —
მყის მიერთმევით მძანებელთ
ბოაღლებით უუძველესი.

თავს იწონებენ არშიყნი,
თვალთ შეტკერაან ქალებსა...
ტრფობით და ლენითი დამთერალნი
აზრიალებენ თვალვებსა.

თან რახუნჯობენ: „ტრფიალინო!
ნუ ავსნებით, აწ ებით!
ჰე, ვადღეგებლოთ ღმერთები
აზარფეშებით, ყანწებით!“

და აძალეგენ ერთმანეთს:
„უარის თქმასა ვით ბედვე?!
შენიერების ღმერთისა
სადღეგებლოა, ხომ ხედავ!..“

კეკულეცნიც მართლაც „ღმერთობენ“
მოსწონთ, ვინც ასე იქცევა,—
და სანახევროთ ბახუში
იქვე სუფრანზე იქცევა...

შრომით დაქაწყულ-მამწვარილი —
ახალგაზდა, თუ ხნიერი —
ყურს უგდებს იმით, უყურებს
ხალხს, ნახევრათ მშვიდრი,

და ამბობს: „ღმერთო, მოხელე
ამას, ციერო მამო!
ვისთვის, რათ არის საჭირო
ამდენი ხარჯი ამოა?!“

სიღვინე.

სიავლიდან შენიშვნა

ოველი ქართველი ადაშიანი მოხარული უნდა იყოს, რომ ჩვენს ქართული ლიტერატურა თანდათან წინ მიდის და, ფეხს იდგამს, რასაც გიშტყიციებს თითქმის დღითიდღე ახალი ქართული წიგნების გამოცემა მზარებშიაც და ქართული ჟურნალ-გაზეთებიც. ავტო მებსუთე წელიწადი, სამი დღი განძი შევება ჩვენ ძვირფასს სამშობლოს: „კვალი“, „მომამე“ და „ჯეჯილი“, მაგრამ რა?.. თანაგრძნობის მფიერათ ჩვენვე ვცხებთ ჩირქს. ეინ არ წიკითხავდა, გახეთ „ივერიაში“ რომ უყიქინებენ: „ხომ გავივთ „კვალს“ დუტუ მერჯელის და ეყა-ფშაველას მოთხრობები მოუვიდაო“. წარმოიდგინეთ, პატრიცემულ „ივერიის“ რედაქციას ეს სასირცხვიოთ მიანიან? რათ დავიწყებია „ივერიის“ რედაქციას, რომ „ივერიაში“ იყო გამოცადებული ამ

დღებში: გავრძელება იქნებაო თ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის: „უცნაური ამბავი“, რომელიც დაიბეჭდა დაუსრულებელათ „მომამეში“ და კუდი მიჭრილი აქსო? რასაკვირველია, ეს ჩვენ დიდათ გაგვეხარდა. ამვე გვართვე მოხარული ვართ და სულთ და გულით ველით დუტუ მეგრელის და ვეყა-ფშაველას ახალ მოთხრობებსაც, რამეონი იქნებია მეტათ სასიამოვნო, რათ ავიწყდება პატრიცემულ „ივერიის“ რედაქციას, რომ ჩვენ ძღერ მოხარული ვიქნებით, თუ კი გამოაცხადებს: „ამ დღებში შ. არაყისპირელის მოთხრობა დაიბეჭდება „ივერიაში“ და სხვა... ან ა იქნება აქ სასაცლო, სიხარულის მეტი? მეტი არაფერი არ დავერჩენია, ყუჩადღება აღარ მივაქციოთ იმისთანა ახირებულებს, რაც „ივერიაში“ იბეჭდება „კვალის“ წინაღმდეგ რაკი ნათლათ ვიცით, „კვალს“ დაბადებისთანავე „ივერიაში“ შურით დანიხელა თავზე!

საღ. ააშა

ბ. დ—ტე

გაუმარჯოს კავკაიის ქართული სკოლის მანდილო-სწიგნის კომიტეტს!

ხრამეტ მარტს, კვირას, კავკაიის ქართული სკოლის მანდილო-სწიგნის კომიტეტის თაოსნობით კავკაიის თეატრში გამართა ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა წამ-მოქმე-

დებიანი კომედია ა. ცაგარლისა: „რაც ვინახავს, ევლან ნახავს“ და ეოდევილი „ადეოკატთან“, რუსულიდან გადმოკეთებული ევლან გუნიას მიერ. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დესწრო, ასე, რომ თავისუფალი ადგილი თეატრში სრულიად არ მოიპოვებოდა. დიდი ხანია, რაც კავკაელ ქართველებს არ უნახავთ ქართული წარმოდგენა და ამიტომ შეუდგენ წარმოდგენის საქმეს თუ არა, ყველა აქაური ქართ-

ველი დიდი აღტაცებით და სიხარულით მოელოდა იმ დღეს, როდესაც კი გამართდნენ წარმოდგენას. წარმოდგენა გამართულ იქნა, რასაკვირველია, საქველმოქმედო აზრით. მთელი შემოსავალი და ნიშნული იყო კავკაისის ქართული სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენას ქართველებს გარდა დაესწრო სამომავალს, რომელთა შორის ბევრმა ქართული უკეთ იცის, ვიდრე სომხური. წარმოდგენის დროს შენიშნადით აგრეთვე რამდენიმე უცხო ტომის ქალსა და კაცსაც. წარმოდგენაზე რეჟისორათ იყო არჩეული ბ. ნ. თ. ვეზირიშვილი, რომელმაც დიდი შრომა გასწია ამ წარმოდგენაზე.

კომედიაცა და ვოდევილიც შეენიერათ იყო წარმოდგენილი და დიდი მაღლობის ღირსნიც არიან მონაწილენი; რადგანაც საქმისათვის ძალიან სინდისიერათ მოეკიდათ ხელი და თავიანთი როლები

ზედმიწვენით კარგათ და თავისუფლათ შეესწავლით, წარმოდგენამ ამიტომ შეენიერათ ჩაიარა. ხალხი მეტათ ნასიამოვნევი დარჩა და ყველა მითამამე რამდენჯერვე გამოიწვიეს ტუმის ცემით და ვაშას ძახილით. საზოგადოებას ისე მოეწონა წარმოდგენა, რომ შინ წასვლა აღარ სურდათ და იმედი აქეთ კიდევ მალე დატყებინათ ახალი წარმოდგენით და უფრო აზრიან პიესების ნიღოთ.

ამ წარმოდგენიდან სასწავლებელს დარჩა, როგორც გაევიც, ოთხას მანეთზე ცოტა მეტი ნაღდი ფული.

კავკაისის ქართული სკოლის კომიტეტის მანდილოსნებმა ისახელეს თავი იმით, რომ ღარიბ სკოლას მიეცეს ნიტიიერი შემწეობა.

იმედია, კავკაველ მანდილოსნებს სხვაგანაც მიბაძვენ საქველმოქმედო განზრახვებით.

ფანაშვილი

შ ა რ ი უ ი

(დასასრული *)



წერლობა. იქ სადაც მწერლობას სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული, მისი მიზანთულება და მეტყველება არ არის ბოროტლადღებული, მისს ლტოვილობა-იდეალს არ აქვს ხაზ-გასმული საზღვარი ზე წარწრით: აქეთ გადმოხედვა აკრძალულიაო. აი, ასეთი მწერლობა უტყუარი სარკეა ცხოვრების. ცხოვრების არც ერთი მოვლენა, არც ერთი მიმდინარეობა, რაც უნდა იყოს და ვისაც უნდა ეხებადეს, არ რჩება მწერლობის გარეშე აღუწიწენელი. წარმოადგენით დარბაზი, რომლის კედლები და ქვირა სარკეებით არის დაფარული, აქ რამდენიც უნდა იტრიალოთ, რომელ კუთხეშიაც უნდა მიხვიდეთ ყველგან და ყოველთვის თავის სახეს ხედავთ 'სარკეში'. ეს დარბაზი პარიჯია. ეს სარკე მწერლობაა. პარიჯში მომხდარი ამბავი, რაც უნდა საიდუმლოდ იყოს გარემოცული, კანონს, სამართალს, ყველაფერს რომ დაემთხოს, მწერლობას მიიწვევს და ქვირა დავამლება. აქაურ მწერლობას უჩინ-მაჩინის ქუდი ახურავს, დაძვრება ყველგან, 'მედის უმაღლეს სალონებში, არ ტოვებს უნახავთ არც უკანასკნელ სარდაუს, ძვრება თვით ადამიანის სულსა და გულში, სურს იცოდეს არა თუ ის, რაც მოხდა და რა მოხდება, არამედ ისიც, რას ფიქრობ

და რას მოიფიქრებ. მწერლობა დაებატრონა ქვეყანას, აქ საიდუმლო არა არისრა. ამისათვის პარიჯი თუ რასმე აკეთებს, აკეთებს საჯაროთ, დუშაღავათ, რადგანაც კარგათ იცის, რომ ამ უჩინ-მაჩინის ქუდს ვერსად გაეცქევა. განსაკუთრებით მწერლობა კრიტიკაში უღვას საზოგადო პირებს, ქვეყნის მმართველებს. ეაი მისი ბრალი, თუ რომელსამე მათგანს შეცდომა მოუვლიდა. მას იქ აღარ დადგომება, ზარე უნდა აიკიდას. ყველამ რომ შეუნდოს, მწერლობა მიიწვი არ შეუნდობს. ან კი ეინ არის მწერლობაზე უფროსი? ეინ დგას მის მაღლა? არაეინ. დაწყებული უკანასკნელი მოქალაქით და გათავებული რესპუბლიკის პრეზიდენტით—მწერლობის ზედამხედველობას ქვეშ იმყოფება. მწერლობა აუყენებს პრეზიდენტს, მინისტრებს, მწერლობავე უარყოფს, ძირს ავდებს იმათ. მწერლობამ არ დასცა მაკ-მაკგონი და გრევი? მინისტრებზე ხომ დაპაპაკიც არ ღირს, ისინი მწერლობის ყურ-მოჭირილი მონები არიან. ეთქვათ, პარიჯელმა კაცი მოკლა, ან რამე მოიპარა, ის არასოდეს არ იტყის, ეს მე არ მიქნიაო, იმიტომ რომ ის დარწმუნებულია, სანამ გამოძიებელი გამოიძიებდება, მწერლობას უკვე გამოძიებულ-გამოქვეყნებული აქვს. რასაც ვერ აღმოაჩინეს დახელოვნებული პოლიციელი, მწერლობას არ დაურჩება 'მეუტყაბელი. პარიჯელის პირდაპირობა, გულწრფელობა ნაყოფია მწერლობის ასეთი თავისუფლების. ეს მთავი ზნეობას გამოქმედებულა, მისი მოქმედების ყარაულობა. აეისაქმე, ტყუილი, ორპირობა, არ დარჩებდა 'მეუწიწენელი, უსამართლობა, ძალ მოპოვობა, უკანონობა არ დარჩება დაუსჯელი.

* ახალე კავკალი' № 9.

მწერლობა არის ყოველდღიური, ყოველის მკოდნე, ყველგან მყოფელი. მისი ხელი ყველგან წვდება, ყველაფერს თავისებურს ბეჭედს ასვამს. ეს არ მოწყობს იმას, რომ მხოლოდ მწერლობას ეკუთვნოდეს ყოველივე, პირიქით მწერლობაც ყოველსავე ეკუთვნის. მწერლობა—ეს საზოგადოებაა, მწერლობას აზრი—საზოგადო აზრია. მაშასადამე საზოგადოება მწერლობის საშუალებით თავის-თავის დაზავია, ცუდი არაფერი შემოგვარაოსო. მწერლობის ჩხარ-ეშინია, ვისაც სინათლის ეშინია, სიბნელეში ჩხარ-კედლოაობს და დაფარულ, საძარს მამებით მოქმედობს. ეს თუ სხვაგან კანიონია, აქ იშვითა მოაქედნა. ერთი ცუდი საქმე რომ მოხდეს, ქვეყანას შეძრავენ, იმდენს იყვირებენ. თავისუფალი მწერლობა უშალოდეს იარაღია გონებრივი სიმაართის, ზნე-ბრივი სიფაქისი. აქ კაც კაცათ არის აღსარებელი. თვალ აქვს იმიტომ, რომ დაინახოს, ყური—იმიტომ რომ გაიგონოს, გონება—იმიტომ რომ მოი-აზროს, ენა—იმიტომ რომ იმეტყველოს მას არავინ არ ეუბნება თვალი დაიბრმავე, ყური მოიკრუე, გონება დაიბნე, ენა დაიღუპე. აზრი ბორკილ-ახსნილია, სეინიდისი განთავისუფლებულია. ამიტომ ფრანგია გულადი, გამჭრიახი, უშიშარი. მის აზრსა მოქმედებას შუა უთანხმოება არ არის. აქ ადამიანი მოე-ლია, ის ორბრის არ წარმოადგენს; მისი სული ეფუთვებულია, ერთი სიტყვით ადამიანი გადამაინებულია.

პარიკს მწერლობაც თავისებური აქვს. აქ ყოველ დღიურ მწერლობას ჩაუყლაპავს ყველა დანარჩენი, საკვირაოს და ყოველ თეთურ გამოცემს არავითარი გასავალი არ აქვს. ვახუთი—აი, რა შეადგენს პარიკელის გონებრივ ბურჯს. მას არ აინტერესებს, რა დაიბეჭდება ერთ თვეს შემდეგ. მანამდი ის ეერ მოიცდის, მას სურს ყველაფერი ერთთ იცოდეს, ერთ დღეს გაიგოს. თუ რამე საინტერესო მოხდა, მან მაშინვე უნდა წაიკითხოს, გასაჯოს, აწონ-დაწონოს. ერთ დღეს, ერთ კვირას შემდეგ ის მისთვის ინტერესს მოკლებულია, დაძველებულია. ერთ დამევე აზრს ფრანგი ეკრმანელივით დიდ ხანს ეერ ატარებს. ეერც ინგლისელივით გამოიანგარიშებს თავის მოქმედების შორეულ შედეგებს, ეერც ქართელივით ცხაჯერ გაზომავს და ერთხელ გაკრის. ფრანგი იმით განიჩევეა დანარჩენებისაგან, რომ როგორც კი გაიგებს, შეიგნებს რამე აზრს, მაშინვე სარჩულათ უღებს თავის მოქმედებას და ცხოვრებაში ახარკივლებს. დაუსრულებლათ ზომე მან არ იცის. ის აზრობს, ცხაჯელ გაზომილი რომ სწორი მოვიდეს, რა გასაკვირვალა, საქმე ის არის, ერთხელ გაზომო და კიდეც გაკრაო. ის მუდამ ასე

იქცევა და წარმოიდგენით თითქმის არასოდეს არ ცდება. უსამართლობა თუ დანახა, მაშინვე იყვირებს; თუნდაც ამისთვის სიკვდილი მოელოდეს. თუ ცუდად მოიხსენიე, მაშინვე დღულეში გამაგრევეს, თუნდაც იარაღს ხმარება არც კი იცოდეს. შეიძლება თქვათ, ასეთი სწრაფი მოსაზრება და მოქმედება დიდა ნაკულევენებააო. კი, ბატონო, ეს ასეა ჩვენ-ბურთი, ქართულათ, მაგრამ ფრანგულათ ეს ასე არ არის; რაც ჩვენ ნაკულევენებათ მიგანინა, ის ფრანგისთვის ღირსებაა, მისი ერაუფელი თვისებები ამ ნაკულევენებაშია თავმყოფლო. ის ამით ამაყობს, მისი პირადობა ამაში იხატება ერთი სიტყვით ფრანგი ფრანგობს ამ ნაკულევენებით. რაკი ასეთია ფრანგი, ასეთი უნდა იყოს მისი სულიერი საუფე; მისი მწერლობა. მართლაც არსად არ არის ისე აჩქარებული მწერლობა, როგორც პარიკში. ყოველ საათში სხვადა-სხვა გაზეთები გამოდის ახალი ამბებით სავსე, რასაც პარიკელი მოწყურებულეით ეწვაება. ქვეყნის რომელიმე კუთხეში თურამე საყურადღებო მოხდა, პარიკელმა იმავე საათში უნდა გაიგოს. შეიძლება სადმე; ეეროპაში, შემადრწუნებელი საქმე დატრიალდა, როგორც მაგ. მამამ შეიღო ისე ვალახა, რომ ღლოვინთ ჩაწეა, ცოლმა ქმარი მოწამლა და სხვა ამისთანები, ამაზე პარიკის გაზეთები ვაი-უშეველებელს ატეხენ. აქაური მწერლობა აღარ კმარაბს პარიკს, საფრანგეთს, ის ქვეყანას ეპატრონება.

რათ გინდა ასეთი მწერლობა, მუდმივი მოუ-სვენრობა. არ ჯობია, წყნარათ, მშვიდობიანათ ეიცხოვროთ?—გაიფიქროთ, ეეების. ამის საპასუხით ეიკტორ ჰიუგოს ავალაპარაკებ; ბატონებო, შეევირა მან პარლამენტში ამ ორმოცი წლის წინათ, დღეს ეეროპის საერთო კრხისში ყველა მხრიდან იძახიან: ზნეობრივი დაცემა დიდა, სოციალური საფრთხე აუტკლებელია! ეძებენ ამის მიზეზს და თავის თავს ეკითხებიან: რა შერება ამას? სად არის ამ მდგომარეობის საძიკეელი? ვინ არის დამნაშავე? ვინ არის დასასჯელი? შიშის დასი ეეროპაში ამბობს, დამნაშავე საფრანგეთია, საფრანგეთში—ამბობს დამნაშავე პარიკია, პარკში ის ამბობს, დამნაშავე მწერლობაა. ხილო კაცი, გულდასმით მეთვალყურე და მოფიქრებულათ მკვლეველი, ამბობს: დამნაშავე არ არის მწერლობა, არც პარიკი, არც საფრანგეთი, დამნაშავე—ეს ადამიანის გონებაა. ეს ადამიანის გონებაა, რომელიც თავიდანვე იკვლევს, აჯის, ეკვობს, ატკიცებს, უარყოფს და მუდამ ეძიებს, გამოიცნოს ქვეყნის საიღუმლო პრობლემა!—ეს ადამიანის გონებაა, რომელიც ყოველთვის შებო

ქელი; დასჯილი; ფეხ ქვეშ გათელილი; პატე-ახლი-ლი; საუკუნოების განმავლობაში ქრებოდა ერთ ალაგს; რომ მეორე ალაგს გამოჩენილიყო სხვა ფორმით, სხვა ავიტატორის სახელით!—ეს ადამიანის გონებაა, რომელსაც ქვია იგანე გუჩი და რიამელი არ მომკვდარა კონსტანტის ცეცხლით, ლიუტერი, რომელმაც შეარქია კატოლიციზმი, ეოლტერი, რომელმაც შეანძრო საწმურეობა, მირაბო, რომელმაც შეანძრო მეფობა!—ეს ადამიანის გონებაა, რომელმაც ვადასხვავებრა საზოგადოებები და მთავრობები, თანახმათ უფრო და უფრო სამართლიანი კანონისა, რის სახელი პირველათ იყო თეოკრატია, შემდეგ არისტოკრატია, მონარქია და დღეს დემოკრატია!—ადამიანის გონება იყო ბაბილონი; ტირი, იერუსალიმი, ათინა, რომი და ახლა პარიჯი, რომელნიც რიგ-რიგათ და ერთ-და-იმევე დროს წარმოადგენდნენ შერკომას, ილიუზიას, მწველებლობას, განკალკეებას, წინააღმდეგობას და ქვეშაობებს!—ეს ადამიანის გონებაა, რომელიც შეუჩერებლივ მიიღობის სიმართლის, შენეიგების და ქვეშაობებისაკენ. ხალხთ მიუქანებს თავისუფლებისაკენ და კაცთ ლეთისაკენ!—დაიხ, მე ვამბობ, შიშის დასმა ერთობ მიიმე საქმეს მოკიდა ხელი, ვთქვით, მან ვანადგურა მწერლობა უკანასკნელ გაზეთამდე, პარიჯი უკანასკნელ სახლამდე, საფრანგეთი უკანასკნელ სოფლამდე, მაგრამ მან მაინც ვერა გააეთრა. მის კიდევ რჩება დასამტყვევით ერთი რამ, რაც ყოველთვის თავიღებულოა, საზოგადოების მაღლა დაფრინებს, რომელმაც დაწერა ყველა წიგნები, გამოიგონა ხელოვნება, აღმოაჩინა ყველა ქვეყნები, დაარსა ყველა ცივილიზაციები, ერთი რამ, რასაც თავი მოუქებს რევოლიუციის ფორმით, თუ კი აღარ ანებებდნენ პათოგრესის ფორმით; ერთი რამ, რაც სინათლესავით შეუხებელია, მზესავით მიუდგომელია და რის სახელი ადამიანის გონებაა!!!

9.

სულ პარიჯი, პარიჯი, სხვა სალაპარაკო ვეღარ იშოვებ — ვაბრაშებით მტკიცეს მკითხველი; როცა დაინახეს, რომ ამ ჩემ წერილებს დასასტოლი აღარ ეძლევა. ვე შენიშვნა მართალია, მაგრამ რა ექნათ, პატონებო, ჩვენ ისე ცოტათ ვიცნობთ დასავლეთის და ვასცანობთ კი ისე ბევრია! კიდევ კარგი, რომ ეს ჩვენი ცნობა ნამდვილი და ქვეშაობითი იყოს. სამწუხაროთ. ესეც აღარ არის. ევროპას ჩვენ ვი-

ცნობთ ჩვენებურათ, ქართულათ, ე. ი. მას ჩვენი ალაბით ვზომავთ მაშინ, როდესაც ვასაზომი სავანი სულ სხვა ხასიათისაა. თუ გსურთ ევროპის ცხოვრების შეგნება, მისი დედა ძარღვის გამოჩენა, უნდა დაივიწყოთ ყველა ის იდეები, რომელნიც დედის ძუძუსთან ერთათ გადმოიღარ ჩვენს არსებამდე და იყენებოდა ჩვენი ვანების სიმები. უნდა უარყოთ თქვენი წარმოდგენები ცხოვრების, ადამიანობის შესახებ, რასაც ვარემოცული ატომოფერიდან ჰაერთან ერთათ დღე-მუდამ ითვისებთ. ჩამოვიღოთ ჩვენი სათვალეები, გონებით ვადახვალსდეთ, გავერობივლდეთ და ვეცრობა ჩვენითვის აღარ იქნება საიდუმლოება... დასავლეთ ევროპას დღემდის საფრანგეთი მოუაღებდა წინ, საფრანგეთს — პარიჯი. პარიჯის ცხოვრება — ეს მთელი ევროპის ტიპითი ცხოვრებაა. პარიჯი — ეს ევროპის ათინაა, დიდებული რომია სხვა სახით, სხვა შინაარსით. პარიჯი ეს ევროპის უმაღლესი წერტილია, კაცობრიობის მწვერვალია, სადაც ერთათ მოგროვილია დღევანდელი ცივილიზაციის კარგი და ავი მხარეები, ეს შენობის საფრანგონია. აღი, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ამ მწვერვალზე და გადმობიხედ დაბლა. შენ ახლა ხედავ სხვადასხვა ქვეყანას, სხვადასხვა ხალხს, რომელნიც საშინელი სისწრაფით მიემქარებოან ზევით, მწვერვალსკენ. ამით შორის ეძებ ვიდაცას, თვალუმს აცეცებ, გსურს დაინახო ის, ვინც შენთვის ძვირფასაა, ვისაც ეტრფილები, მაგრამ ამათ. აქ ის არ არის. ჩახედე ქვევით, სულ ქვევით, ძლიერ შორს და გარჩევე ერთ პატარა ერს, რომელიც ხელბეაწედილი ზევით იქტირება; მეც მინდა მანდ ავიდე, სხვებს გაუშანადგეო. ხელი მოკიდე მაგას, მაგ შენ სისხლ და ხორცს და არ გაუშევა, სანამ ზევით არ ამოვიდეს. იცოდე, მისი კეთილ-დღეობა შენი კეთილდღეობაა, შიხი ბედნიერება შენი ბედნიერებაა, შენ ის ხარ და ის შენ, იცანი თავი შენი მასში და ის იცნობს თავის-თავს შენში. ჩამოდი მალოდიან ქვევით, რომ ვაქრე მასში მისდ სასარგებლოთ და შენდა სასაამოენოთ. ვაბრუნდი, აღი მაღლა, რომ ვითვალისწინო ვასავლელი გზა მისდა საცნობლოთ და შენდა სამოქმედოთ. სწავლა და მოქმედება — შენთვის, ცნობიერება და მოძრაობა — მისთვის et vive VRSU...

მაშ დაეტოვოთ ამ სიტყვით მწვერვალი, გამოვემშვიდობოთ პარიჯს...

მცირე შენიშვნა.

(ბ. გ. ა. კ.).



მას წინათ ვახეთ, კეკელში: ორიოდ სიტყვით კეთილათ მოგიხსენიებთ. ბ. სერგეი მესხი, რომელიც სამტრედიიდან სხვაგან გადავიდა სამსახურში, და რომელსაც თვალსაჩინო მღვდელი მ. უძდღვის ჩვენი დახისა და მის ვარგულ სოფელისადაც ხოლმეჩიან დღეებში და სხვა დროსაც. ეს მცირეოდენი შენიშვნა საქმათ დაუნახავს ბ. ნ. ა. ძმის, რომ გავმეორებინა ის აზრი, რომელსაც დიდი ხანი გაიძახიან ჩვენი ვახეთები: „ეკლესიებით, სოფლებით ნასწავლი ხალხი არ იცის; მოდიოთ, მხოლოდ აქ არის სამოქმედო ასპარეზი“ და სხვა... ამის წინააღმდეგ ჩვენი არაფერი გვაქვს სათქმელი, მაგრამ უნდა ვანუგეშოთ ბ. კ. ა. ძმე, რომ ბ. მესხს ჩვენი დაბა არ დაუტოვებია ხელ-აუპყრობლათ. „ჩვილის გზას თავისი ექიმი ჰყავს; აქვე დასახლდა ახალგაზდა ექიმი თ. ლორთქიფანიძე; სამტრედიიდან სულ რამდენიმე ვერსის მანძილზე; სოფელ ჯიჩაიშში, ახალგაზდა ექიმი (ამ უკანასკნელს, როგორც წამდგირლის წყაროდან ვიცით, სამკურნალოს განხნაც ვანუძრახავთ); დაბა ახაშაში, რომელიც სამტრედიის

მახლობლათ მდებარეობს, აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც ნასწავლი ექიმი ცხოვრებს. აბა, რა უნდა გავკეთოს ერთათ აძღვნი ექიმმა? რა თქმა უნდა, ხელი უნდა შეუშალონ ერთმანეთს... ამას შემდეგ, ვვინებთ, არ გვიბრძანებს ბ. კ. ა. ძმე; „სოფელი მარჩიელურზე და მკითხველებზე მივდებულო“. მაღლობა ღმერთს, სამტრედიასა და მის ვარგულ სოფლებს მინც არ ექმნის ეს სამტრედიე და თუ მკითხველს ახადებია ვამიძერა მარჩიელურს“ კიდევ უღვათ სული ჩვენი, და ვისი მიზნია კი სხვაგან უნდა ვიქცეოთ... ექიმები კი ვახლავთ ჩვენი, მაგრამ საქმე ის არის, თუ რომელი მთვანია, როგორც ემსახურება ხალხის ინტერესებს; და თუ ვინმე ღირსსულათ ასწავლებს თავის მოვლეობას, ჩვენი დიდი სიამოვნებით ვეტყვით, „გამარჯულებას“ და კეთილი სიტყვით მაინც გავამხნეებთ მძიმე საქმეში. ბ. კ. ა. ძმე ჰგონია, რომ რატი კაცი ერთა აღწერილან მეროზე გადავიდა, იქ კი არ ექნება საქმე გაქირებულ ხალხთან. კაცი იყოს, თვინა გაქირებულნი და ხელის ვასამართაი დამიანები ყოველგან ბეგია, დასასრულ უნდა დავემართო, რომ ყოველი მოღვაწე იძინათ უნდა დაფასდეს, რამდენათაც მას უყარ ჩრება კეთილშობილურათ ვაღლოთ გზა.

ბ. გ. ლ.

ს ე ი მ ო ნ ს ე ლ ი

(ისტორიული მოთხრობა)

VI

შეზღვი *



ბატონ დაივთს გაუმარჯოს! მიესალმა ბატონიძი.

დაუთხანი შედგა ვალაჯულა, ცოტაწინ წაიარა და თვალები დააშტერა მოსულებს.

— სიმხიარულ არ გაკლიათ, ბატონო; გამარჯვებაც მოგკცეთ ღმერთმა! — უთხრა ელიზბარმა.

როგორ? ბატონოვო?... მუხლი მომიყარეთ ახლავე, თორემ ვკვიცა მაჰმადს და წვერის წმინდა გიორგის მადლმა თავებს დაგაყრდენებთ! გახსოვდეთ, რომ ბრწყინვალე დავით მეფეს ელაპარაკებთ.

— საქართველოში მარტო ღმერთს უყრიან მუხლს, მიუგო წყენით ერისთავმა.

— უთუოთ ჩვენი თქვენდამი ერთგულება იქნება მიზეზი, რომ ვერცთ შეურაცხყოფას გვაყენებ, უსაყვედურა ამოახვარმა.

— დიდებულო მეფეთ-მეფე! ეგერი მშვერმწყურვალები არიან, იმისთვის ახშიათ თვალები, მოიღოთ მავთულ მოწყალემა, მოჰყარეთ ეგერიც წყენამდის, მოახსენა ერთმა მოქიფემ.

— ხა! ხა! ხა!... მეც არ გამიყრდა! ჯიხებები, ბატო, ჯიხებები! — უბძანა მასპინძელმა.

მაშინვე მიაჩერეს იმათ ხელში ღვინით სავსე

უშველებელი გეხებები.

— უსუნთქებლიე! — შეძახა დავითმა.

— სამძიმო საქმისათვის მოგსულვართ ამ სიშარე. ეს არის ცხენებიან ვაღოთხედი, პირდაპირ თქვენთან გახელით. გვევლებით, მოგვისმინათ. სმასა და ღვინს, ღმერთთა მოწყალე, მაკვირებთ, შეთხოვა ბარძიმა.

— უსუნთქებლიე-მეთქი! — შეყვინა დავითმა და წინ წაიწია.

— ბატონო, მოგვისმინეთ! სეიომნ მეფე გაუთავისუფლებია შაჰ-ხუდაბანდს, დიდი სიმღერით, დიდა წყალობით გამოუსტუმრებია საქართველოში. იმისი თხოვნით ქართველი ტყვეებიც; ყველანი გაუთავ-ასუფლებია, თან გამოუსყაობებია, ბრძანებთ გაუცო, ყველა ხანება ბეგლარ-ავეყვი დაუბმარონ სეიომნს ყველაფერში. ახლა სეიომნი ჯარით მოდის თქვენზე — უთხრა ბარძიმა, რომ როგორმე გონებაზე მოეყვანა დავითი.

ამის გაგონებაზე დაუთხანი შეკრათ, თითქოს გამოფხიზლდა, გონებაზე მოვიდა.

— ჩემი ძმა სეიომნი? ჯარით მოდის?!

— სეიომნი მეფე მობძანდებამა? — შეძახეს ყველამ.

— დაღ, ბატონებო, დღე-დღეზე უნდა მოველოდეთ, საჩირო შესავებებლათ წაიდაო. დღდიფლას ეს ამბავი ათაბაგის ძმამ მარუხარმა მოუტანა. ხომ იცით, სეიომნი მეფე გამტრანაი კაცია. ახლავე უნდა შეუდგეთ თავდარებს, თორემ მერე გვიანდა იქნება. ხალხი სულ იმისკენ გადაე - თქვა ერისთავმა.

— მაშ, დავლაულებართ! დაიკენსა დავითმა.

სულემა გაკვირებული შეწყურებდა ხან დაუ-

* იხ. „გვალა“ № 14.

თანს, ხან მოსულეებს. როცა დაერთმა თქვა, დავი-
ლუბეთო, ქალს ეილა ეცა, გული წაუვიდა და მსახუ-
რებმა გაიყენეს

— რათ ბანებთ მავას? საცაო ძალა გეპქეს
ხელში; გავიციხნო, ვეთათვეთ, ევაკაცს მანამ ხნალი
ზედ არუკა, დალუგა არ თქმის, განაწნავე ბარძიმმა.

— რას ამბობ, კაცო! ახლა სპარსებიც ხომ
სეიმონს დაეხმარებიან ჯერ როცა სპარსები ჩვენ
გვეხმარებოდნენ, მაშინ ვერ გავუსწორე იმას ომი და
ახლა რილას იმედი უნდა გეკონდეს? არა! წაედა,
თითონ სეიმონს შევივედრები, — მან არის, შემთი-
ნებს... მაგრამ ერთი შლეგი კაცია და, ვი თუ,
ამიტვისონ რამე... ახლავი ხონთქართან წაედა: მამ-
მადიანი ვარ, კარგათ მიიღობს, ამბობდა შიშის ზა-
რით გამოჟიხნულბული დავითი.

— ჩვენ? რომ ერთგულმა დაგვემტკიცებინა
თქვენთვის, სეიმონის მემკვიდრის ავსაც კი ვაპირებ-
დით, თქვენ კი ახლა ამ გაჭირებაში უშუალო ვებო-
ლებთ — უსაყვედურა ბარძიმმა.

— მას კარგი! თუკი უზომოდ გავარისნეთ
სეიმონი მაგრამ იმასვე მივმართებ: ევაკაცია, მეფუ-
რი გულის პატრონი და ისე მოიქცევა, როგორც
ევაკაცს შეშვების. ჩვენ თქვენკენ ვაღმოვიდით, გვე-
გონა მათულის მოვლას შეიძლებელით მოუკაროსთავმა.

— მართალს ამბობ, წაივლეთ, ერისთავო! სეი-
მონს არჩილ მუხრან-ბატონიშვილი ახლავს თან; ის
და კათალიკოზი გვიშუამდგომლებენ მეფე დედო-
ფალთან. — დაუთანხმა ამილხმარა.

დაუთხანი აქამდის ხან ერთს შეჰყურებდა, ხან
მეორეს, ახლა კი, როცა გავგონა ეს სიტყვები,
როცა ნახა, რომ იმის საშეგლათ მოსულეები გამრუ-
ნებას აპირებდნენ, სასოწარკვეთილებაში ჩაყარდა და
აკანკალებული ხმით შეძახა:

— მამ თქვენცა მტრებთ? არ გებრალბით?
ამის ვაგონებანზე მოსულეებმა ზნობით შეხედეს
დაუთხანს და ტყევა ნაკარებებით გატრიალდნენ უკან.
დაუთხანმა აასრულა თავის ნათქვამი: დაუთხო
ოსმალეების სარდალს ლალა-ფაშას ყველა ციხეები,
რომლებიც კი ხელთა ჰქონდა და თითონ ხონთქარ-
თან წაივიდა. იმასთანავე ერთათ გაღიხეწენ ოსმალე-
თში ზოგიერთი თავადშვილები, რომლებსაც ეშინ-
ოდით სეიმონისა. ხონთქარმა რომ ვაივო, რა სი-
კეთე უყო დაუთხანმა ოსმალეებს საქართველოში, დი-
დი პატივით მიიღო ის და სარჩენათ ორი საფაშო
უწყაილდა.

ვ. ბარბოკი

(შედეგი იქნება)

სახუმარო გასართობი

აკაკის ნაკვებები, ვინდაც სასოკას მიერ გადასახინებულ-
ქარენიდაო



ვენ ჩავივარდა ხელში ერთი პაწია წინაკი,
რომელზედაც აკაკის სურათია აღბეჭდილი.
აღბათ ამ სურათის წყალობით გამოიკმეღოს

აბაზი დაუდღეს ზედ თასათ, თორემ მხელა წიგნაკი-
სათვის შაჰრიც დიდი ფასია. საბრალო აკაკი სხვა-და-
სხვა გამოიკმეღმებს მისი თხზულებები კი არა, მისი მო-
მავალი გონების ნაწარმოებიც კი დაუტყვევებიათ
ჯიბის ვასასქელებლათ და თითონ აკაკი მუდამ ჯი-
ბე-გახერხილი დაიარება. ახლა, ეს ვინდაც სასოკია
არის, ამასაც რამ არ დაჯერებია, მისი სახელით,
თავის საკუთარი ნაკვესები შეუთხზავს.

ჩვენ იმ უწამურს ნაკვესებს მკითხველს ვერ
ვაკადრებთ წასაკითხათ. ვისაც ცნობის-მოყვარება
აქვს, მიუფთობთ წიგნაკის მერვე გვერდზე და და-
მატებაზე

არ გვონებ, ასეთი უშეგრი ზმა და ლანძღე-
გინება აკაკის ენას ოდესმე წარმოეთქვას. ეს უფრო
სახოკისებური უნდა იყოს. მაგრამ გონიერი რომ
უგნურს ხელში საზოგადოებელს მიცემს, ნულარ დემე-
ტრება, თუ შეუგნრმა პირველათ იმ გონიერსვე
გამოჰქას ყელი.

სახოკის ხელში აკაკის ნაკვესები, არამც თუ
აბაზათ, კანკიკათაც აღარ ღირან. მაგრამ სახოკია
ამისთანა ნაკვესებზე აღარ გვეკმარებს. ის თავის ნა-
კვესების ბოლო-გვერდზე ასე გვიცხადებს:

„მაღე გამოჯა გასაყიდათ თ. სასოკას მიერ შედ-
განილი ქაღალდი“.

იმედი, მისი შედგენილი ქაღლები კიდევ უფრო
იფათ გეიყიდება, ვიდრე მისი ნაკვესები.



ამ დღებში ერთი ახალგაზდა ინტელიგენტი
შეხედა მეორეს და გარკებით შეეკითხა: „ნუ თუ-
დავიჯერო, აკაკის მოსწრებული სიტყვები იყოს ის
ზოგიერთი კინტაური ოხუნჯობა, რომელიც სახო-
კას გამოუყოიაო?“

— ეგ კიდევ რა არის? ჩვენ იმასაც მაღე მო-
ვესწრებით, რომ ქუჩის ბიჭები აკაკის მოლოლა-მას-
რადინათაც ვადაქცევენ.

(ჩვენი პოეტების მიბაძვა)

ზამთარი რა წაივდა,
მოვიდა ვაზაფხული,
სახლში ჭყვიის მერცხალი,
ბღში კივის ბუღბუღი.

ავყავებულა ვარდი,
ნესვიც დამწიფებულა,
ლობში კი მსუნაგი
ლორი გაცვებებულა!

მებაღე დიდი ჯობით
ლორზე ამხედრებულა...
გაუმარჯოს სამშობლოს,
მტერიც დამარცხებულა!

აკაკი